

ფანოს პანძი

ლიტერატურა.
ხელოვნება.
პრიტიკა.

კვირა
26 მაისი.

ფასი 10 კ.

1913

№ 2.

ეხ, ლოდინი...

ა. შანშიაშვილი.

ნაწილი „მეფე შტოსნიდან“.

არ მოსულა? როდის მოვა? იქნებ სულაც ვეღარ ვნახო?
 ეხ, ლოდინი სულს მიშფოთებს... ეხ, როდემდის ვივაგლახო?
 მაშ ის იმ დღეს რად დამპირდა? რად თქვა სიტყვა სანუკვარი?
 მგონია თუ მომელანდა, ანუ იყო ეს სიზმარი?
 არა, არა! ის მეჩვენა თმა გაშლილი, ტან შიშველი;
 ის მეჩვენა მშვენიერი ნათლით სავსე, მომხიბვლელი.
 ერთხელ ნაზად გამიღიმა, ერთხელ თვალნი ძირს დახარა,
 მერე ისევ შემომხედა, ისევ სხივი მომაყარა,
 მითხრა—მოვალ! რად არ მოდის? იქნებ სულაც ვეღარ ვნახო?
 ეხ, ლოდინი თან გადმიტანს... ეხ, როდემდის ვივაგლახო?

აი, როცა მოვა ჩემთან—გადაუხდი დღესასწაულს;
 ძირს დაუფენ ძვირფას ქსოვილს და მიუძღენი მას სამკაულს.
 მას მოურთავ ვარდით ოთახს, მუნ დაუკმევ სურნელებას;
 აუტყვრებ ტკბილად ჩანგსა და შევკადრებ ქება-ქებას.
 როცა მეტყვის: მოდი ჩემთან!—მუხლს მოუდრეკ მოკრძალებით;
 ვეამბორო?—არა, არა! მხოლოდ ვუმზერ ნება-ნებით.
 მერე, როგორ ვესაუბრო? ის ღუმლისაგ მიმიხედება.
 იცის ჩემი სულის ლოცვა, იცის გული თუ ვით კრთება.
 იცის ჩემი საიდუმლო, იცის ყველა დაფარული,
 იცის ჩემი დიდი ცოდვა—ეს მისდამი სიყვარული.
 იცის როგორ დევლით ველი, დღეს მე უნდა იგი ვნახო,
 მაგრამ რატომ არსით მოსჩანს?— ეხ როდემდის ვივაგლახო?

ჩუ! ჩემს ჭიშკარს ვილაც აღებს, თან შრიალიც გავიგონე;
 რად ვკანკალებ სიხარულით, რად მეღვევა ასე ღონე?
 იქნებ სხვაა? როგორ თუ სხვა? ვინ გასტეხდა ადრე ღამეს?
 ვგრძნობ და მესმის ახლოვდება, მოაქროლებს თან სიამეს!
 ჰხედავ, როგორ გამიბრწყინდა სახე სევდით დაღვრემილი?
 ჰხედავ, ხეღნი რა რიგ თრთიან—ეს ის არის მოფრენილი!
 რაღას იცდის? რად არ მოდის? იქნებ უნდა დაეუძახო?
 ეხ, ლოდინი თან გადმიტანს, ეხ, როდემდის ვივაგლახო?

რაა ცრემლი დაფრქვეული, ანუ სევდა გულის მკვლელი?
 სულმა ყველა დაივიწყა, სულით მხოლოდ მას ერთს ველი.
 თვალი ჩემი მისკენ არის, შორს განსჭვრიტა დრო და ჟამი.
 თვალი ჩემი მას დაეძებს, ძირს დასტოვა სოფლის შხამი.
 მასთან! მასთან! ან ის ჩემთან! დღეს მე იგი უნდა ვნახო.
 ეხ, როდემდის ცდა დამპირდეს? ეხ, როდემდის ვივაგლახო?

შენ ამბობ თუ იგი იყოს ჩემი სულის უკვდავება!
 მე კი გეტყვი ის მამულის გენიაა და დიდება.

13348



იგი არის ერთად ერთი ჩემი ლტოლვა და მიზანი,
 მან აღმანთო საამქვეყნოდ, მან მასმინა შვევის ხმანი.
 დიახ, მისი აღთქმა არის მოვიდეს და გამახაროს;
 ნუ თუ მაშინ ეს ასრულდეს, როს დრომ მიწას მიმაბაროს?
 არა, არა! მოვა, მოვა! დღეს მე იგი უნდა ვნახო!
 ეხ, როდემდის ცდა დამჭირდეს? ეხ, როდემდის ვივაგლახო?

თუ სიკვდილმა მიმასუსტოს, სულს ებრძოდეს ცივის ხელით,
 სარეცელსა ძაძა უძღვნას, სევდა აღდგეს ძველის ხერელით,
 ჩემი ტოლნი ცრემლს აფრქვევენ და ისმოდეს ირგვლივ გლოვა,
 შემდეგ მოდგმას ვუანდერძებ: მე თუ გტოვებთ—ის აქ მოვა.
 სიცოცხლეში ვერა ვნახე არსი წმინდა, საყვარელი;
 საფლავის ქვას დააწერეთ: „მაინც ველი! მაინც ველი!“

ს. შანიანი

შენიკრა.

პ. ჯორჯიანი.

როდესაც ღმერთთა-ღმერთი ძღვევამოსილი
 იუპიტერი გამოჩნდა, პარნასზე სიჩუმე ჩამოვარდა.

— ზულკანს დაუძახეთ — ბძანა იუპიტერმა. კოქლი,
 უშნო ვულკანი ბძანებლის წინ მოწიწებით დადგა.

— მსურს შენი შრომისათვის ისე დაგასაჩუ-
 კრო, რომ სამუდამოდ ჩემი მადლობელი დარჩე-
 ხედე **ვენერას**:

როდესაც ჩემს თავში მშვენიერი ფიქრთა გროვა
 უცხო ყვავილათ გადიშალა, მხოლოდ მაშინ გაჩნდა
 მომხიბლელი მოყვანილენა მისი საუცხოო ტანისა.
 მის თვალებში მე გადავშალე სიმშვენიერე დამ-
 შვიდებული ზღვის ზედაპირის, რომელს გძლათ კო-
 ცნის მზის სხივთა თვალთ უხილავი ნარნარება.

— აი, ეგ სილამაზის ღმერთი შენთვის ცოლათ
 მომიცია.

ღმერთებმა თავი მძიმეთ დასწიეს.

ზულკანს ტუჩებზე სიამოვნების ღიმილმა გაურ-
 ბინა და **ვენერას** შეხედა.

— სილამაზის ტიტველი ღმერთი ადგილიდან
 დაიძრა და ვულკანს გვერდით ამოუდგა.

მის მშვენიერ სახეს მოშორდა ის ღვთიური სიმ-
 შვიდე, რომელიც მისი სილამაზის სხივოსნობას პორ-
 კეცებდა და უსიამოვნების ნელი ღრუბელი მოაწვა.

სწორეთ ამ დროს მას ნელამიუახლოვდა **მრო-**
 სი და ყურში ჩასჩურჩულა:

— საწყალო **ვენერა**, სად გინდა პოვო ნუგე-
 ში ამის შემდეგ?

— ქმრის ლალატში — მიუგო სილამაზის ღმერთმა.
 22 მაისი.

პ. ჯორჯიანი

იგორ სევერიანანიდან

ნიგელიძე

გაზაფხულის დღე*)

3. იაზვილი.

ოქროს სხივებს მოუქარგავს თბილი დილა მაისისა
ქალაქს ცეცხლი უკიდია, უკიდია ცეცხლი მზისა.
მე კვლავ მე ვარ: კვლავ ჭაბუკი.. რაც რომ იყო იგი ქრება
ისევ მიყვარს როგორც ძველად, ისევ მათრობს ნეტარება.

სულს ველი სურს, მწვანე ველი ათასფერად მოქარგული...
დღეს უცნობსაც მსურს გაულო მეგობრულად ჩემი გული!..
ვიშ! ამ ნებას გამეფებულს, და სიცოცხლის ირგვლივ ბგერას?
ვიშ! ყვავილებს ველათ გაშლილს, ვიშ მომხიბვლელ ხმით სიმღერას.

მალე ეტლი... მზე კისკისსა ჩემს სიხარულს შევეერთებს
გავალ მინდვრათ სალამს მივცემ ამწვანებულ ყანებს და მთებს...
სიყვარულით აგზნებული ვნებით ვუცქერ ლამაზს ქალებს,
დღეს მტერსაც კი გადავკოცნი, გული მტერსაც შეიბრალებს.

მაშ ბალახო აბიბინდი... გამოიღე ხმა მუხნარო
ეკალო შენც გამოისხი ყვავილები სანეტარო.
კურთხეულ დღეს სული ხარობს გრძნობა ტრფობით დამთვრალია
დამნაშავე დღეს არ არის, დღეს სუყველა მართალია.

*) ეს ლექსი ავტორმა ჩვენს ჟურნალს დაუტევა ქ. ქუთაისში ყოფნის დროს.

უხილავი*)

აივაზოვსკის სურათის წინ.

მ. ტაბიძე.

შე დასავლით იღველვება, ღამის ბინდი ხლართავს ჩადრებს...
ლურჯ ცის ბსკერზე სხივი კვდება, სალამს აღლევს ჩონჩხებს და მკვდრებს.
ფიქრში თავი დაუხრია სასაფლაოს დარაჯ ქანდრებს,
და ნაღველი შეპარვია სურნელოვან აღენდრებს.

მარტოდ-მარტო ვეხეტები საფლავთ შორის ვაქლერებ ქნარს,

უხილავი მწუხრის ჩრდილში მეუბნება უკვდავ ზღაპარს:—

- „მე სული ვარ შემოქმედი შეუზღუდველ სულთა თანა
- „სამუდამო— როგორც ღმერთი, გაბედული— ვით სატანა.
- „ყოფნამ ყოფნას უკვდავება უხილავად დაატანა,
- „თქვენ, მსოცანო, უკვდავება გიკვირთ განა, შეგშურთ განა?
- „ერთის ხელით ხომღს დაეხატავ, მთვარეს მოვხვევ ოქროს სხივებს,
- „სიბნელისგან მზის შუქს გავყოფ ანათროლოებს, ანამძივებს..
- „ერთი სუნთქვით დედამიწას გადავაფრქვევ ნაზ ყვავილებს..
- „მთას გრიგალი დაუბერავს, აკენესებს, ააკივლებს..
- „უხილავი ყველგან გხედავს, უხილავი ყველგან გეძებს,
- „უხილავი გაგახარებს, უხილავი აგაკენესებს..
- „დედამიწავ! სული მეფობს შეუზღუდველ სულთა თანა,
- „სამუდამო— როგორც ღმერთი, გაბედული— ვით სატანა“!

დედამიწას გარინდებულს მოხვევია ფიქრთ სამოსი,
ბინდის სევდით შემოსილა მშვიდი სუნთქვა მიდამოსი...

ტკბილი ძილი ეპარება სასაფლაოს დარაჯ ქანდრებს
და ფიქრებს სწოვს სურნელებად ცელქი სიო აღენდრებს...

ისევ ისე ვეხეტები, საფლავთ შორის ვაქლერებ ქნარს .

ისევ ისე მეუბნება უხილავი უკვდავ ზღაპარს.

მ. ქოროს შერიძე

*) ეს ლექსი გაგზავნილი იყო შარშან გაზეთ „თემის“ მიერ გამართულ კონკურსში, სადაც აბაშელის ლექსის შემდეგ ყველაზე მეტი ხმა მიიღო. რედ.

„ოქროს ვერძის“ სალიტერატურო კონკურსი.

ჩვენა რედაქცია მართავს სალიტერატურო კონკურსს საუკეთესო მოთხრობაზე და ლეგენდაზე.

ფულის პრემია მოთხრობაზე იქნება დანიშნული — 60 მ.

ლეგენდაზე — — — — — 50 მ.

ფულის პრემიის გარდა დანიშნება ქებითი ფურცლები სამ-სამი მოთხრობაზე და ლეგენდაზე პირველი, მეორე, და მესამე ხარისხისა.

კონკურსის წესი.

1. მოთხრობის კონკურსში მონაწილეობა უნდა მიიღონ მხოლოდ იმ ბელეტრისტებმა, რომელნიც სამწერლო ასპარეზე გამოვიდნენ 1900 წლიდან.

ლეგენდის კონკურსში მონაწილეობა შეუძლია მიიღოს ყველამ.

2. მოთხრობა თავის ზომით არ უნდა სჭარბობდეს 1000 სტრიქონს და არ უნდა იყვეს ნაკლები 500 სტრიქონისა.

ლეგენდა მიიღება როგორც პროზით, აგრეთვე ლექსათაც დაწერილი. ზომა არ განისაზღვრება.

3. არც მოთხრობა და არც ლეგენდა არსად არ უნდა იყვეს დაბეჭდილი.

4. საკონკურსო მასალა გამოიგზავნება „ოქროს ვერძის“ რედაქციის სახელობაზე დაბეჭდილ კონვერტში, რომელსაც ზევიდან უნდა ეწეროს რამე დევიზი. მეორე კონვერტზე, რომელშიდაც იქნება აღნიშნული ვინაობა ავტორისა, იგივე დევიზი უნდა იყვეს წარწერილი.

5. უკანასკნელი ვადა საკონკურსო მასალის წარმოდგენისა არის 1 ენკენისთვე. ამ დღის შემდეგ რედაქცია უარყოფს გამოგზავნილ მასალას.

6. დაჯილდოება მოხდება ქუთაისის თეატრში საზოგადოების თანდასწრებით. დაჯილდოების დღე ცალკე იქნება გამოცხადებული.

7. დაჯილდოებული მოთხრობები და ლენგედები „ოქროს ვერძში“ იქნება დასტამბული, ავტორების სურათებთან და ბიოგრაფიულ ცნობებთან ერთად.

8. რედაქცია დანიშნავს აგრეთვე ეგრედწოდებულ ხელის მომწერთა პრემიას. ავტორი, რომელსაც ყველაზე მეტი ხმა მოუვა ხელის მომწერლებისაგან, საჩუქრად მიიღებს ქართველი შვილის მიერ გამოცემულ „ვეფხვის — ტყაოსანს“.

9. ჟიურის წევრები კონკურსში ვერ მიიღებენ მონაწილეობას.

ჟიურში მოწვეული იქნებიან ჩვენი გამოჩენილი ლიტერატორები, კრიტიკოსები და აგრეთვე პრესის წარმომადგენელი.

მგოსნის დიდება და ბედნიერება.

გაოტყდან.

კ. აბაზ-პირაღი.

შეხედეთ ადამიანებს—ვით სწყურიათ სიტკბოება, ბედნიერება. მთელი მათი სურვილები, მათი ოქრო, მათი ცდა, დაუცხრომლად იხარჯება და მერე რაზე? იმაზე, რაც მგოსანს ბუნებისაგან—თან დაყოლია: ყველაფერი ეს საწუთროს სიტკბოებისაკენაა მიმართული, სხვა და სხვა, ხშირათ სრულიად შეუთანხმებელ, ერთად მოუთავსებელ საგანთა—ერთ ჰარმონიულ ურთიერთ შორის შეთანხმებისაკენ.

აბა, რა აშფოთებს ადამიანებს თუ არა ის, რომ მათ თავიანთი შემეცნება გარშემო საგნებთან ვერ შეუთანხმებიათ. ის, —ბედნიერება რომ თევზივით უსხლტებათ ხელიდან. ის, რომ ერთხელ ნანატრს უკვე გვიან ეღირსებიან და უკვე მიღწეული ბედნიერება იმდენს არას ეუბნება მათ გულს, რამდენსაც მისგან მოელოდნენ—ჯერ კიდევ მის მიღწევამდის.

მგოსანი კი ყველაფერ ამათზე აუმაღლებია ბედის წერას.

იგი მშვიდათ, აუმღვრეველათ ჰვრეტს ამ საერთო ქოთქოთს—ენებათა, ოჯახებისა, სარწმუნოებათა და სახელმწიფოთა რღვევას, შენების პროცესს, და ნათლათ სჰვრეტს შემეცნებელის ჯერეთ შეუტნობ ამოცანას, რომელსაც ხშირათ, მხოლოდ ერთი სიტყვა აკლია ნათელ ყოფამდის.

იგი თვით განიცდის ყოველ ადამიანის ბედ-იღბლის სიტკბო-სიმწარეს. ისე როგორც მსოფლიო კაცი მსოფლიო კმუნვით შეპყრობილი, მიემართება ხოლმე ბედის ქარიშხლის წინააღმდეგ, სწორედ ისე, გადადის მგოსნის მგრძობარე სული დიად მხესავით დღიდან ღამეზე და ტკბილი ჟღერით ჩანგი მისი წინ ეგებება, როგორც სიხარულს, ისე კმუნვასაც.

და მის სულის სიღრმეში ხარობენ მუდამ თვალ წარმტაცნი—სიბრძნის ყვავილნი. იგი თვით სიცოცხლის სიზმარშიაც კი ფხიზლათ არის. და რაც კი აწმყაში ხთება, მისთვის იგი იმავე დროს წარსულიცაა და მომავალიც. თვით მგოსანი კი ტკბილ ხმოვანი მომღერალიცაა და დაღვრემილი წინასწარ-მეტყველიც ერთსა და იმავე დროს. მეგობარი—ღმერთებისა და ადამიანების.

ვაი რომ ნამდვილია!

ლევო ჰიაჩაღი.

(გაკჟღეჭება*).

რბილად, მოხდენილად დაეგოთ ჩემთვის... მარტობისა და უმეგობრობის კირს ღიზას წყალობით დროებით გაყრილმა, ფართოდ გაუფლავებული ტკბილსა და საამოდ გამაღიზიანებელ ოცნებათ, კარგად ვერ მიმეცა ანგარიში თავისთვის, რომ ღიზას ოჯახში ვისვენებდი, იმ ღიზას, რომელსთანაც მე ვიზღებოდი და რომლის მოგონება შემდეგში ცხოვრების მწარე, მომაკვდინებელ წამების განცდის დროს მხსნელ ფარად მეველინებოდა...

„მყუდრო ოჯახი, სიყვარული, მეგობრობა, შრომა და პირუთენელობა!!--ვინ არ ეწაფება ცხოვრების წყაროს? ვის არ უნდა შესვას ესრედ ტკბილი და მაცხოველებელი წყალი ცხოვრებისა? საუბედუროდ ბევრი ვერ ახერხებს ამას, ბევრი შუაგზაზე შეყენებული რჩება, ბევრიც ღტოლილი, და ბევრიც მიულწველად დაშორებული, სასოწარკვეთილი!..“
„მე არ მგემებია ტკბილი ცხოვრებისა, მე არ მისვამს მაცხოველებელი წყალი მისი!.. დაუკმაყოფილებელია ჩემი წყურვილი, და ვაიმე, რომ ერთხელაც ვერ მოვკლა მე წყურვილი ჩემი!.. ხოლო მადლობას კი ვწირავ განგებას, რომ მის ფრთებქვეშ მიუსვენებია ჩემი დობილი, თან შეხდილი ღიზა და თბილად, ტკბილად მოპყრობია მას!.. ღიზაც ხომ ღირსია ამის!—“

არ მეძინებოდა... არც მინდოდა ძილი!.. კარ-

*) იხ. № 1.

გი იყო წუთიერი შეგნება ცხოვრების სიწმინდისა, მშვენიერებისა! დამატკობელი იყო წუთიერი რწმენა, ნუგეშინის მყოფელი, ამაღლებელი!!

... შუა ღამეზე კარგა იქნებოდა გადაცილებული, როცა მთელს სახლში დაურღვევლად გამდგარი სიჩუმე რომელიღაც კარის შეწყრაილებამ დაარღვია. დერეფანიდან შიშველი ფეხის ჩაწკარუნებით სიარულს მოვკარი ყური. ეტყობოდა, რომ ვიღაცა დიდად იცავდა სიფრთხილეს... რამდენიმე ნაბიჯის გადადგმის შემდეგ ყოველი ხმა შეწყდებოდა, რის შემდეგ კვლავ გაისმოდა შიშველა ფეხის დამახასიათებელი ჩაწკარუნება... ნელა გაიღო კიდე რომელიღაც კარი და... კვლავ დაურღვეველი სიჩუმე გამეფდა სახლში... დიდი ხნის პაუზის შემდეგ, მომესმა:

...— ახირებული ხარ, შენმა მზემ!.. რატომ არ მოდიხარ?... ხომ იცი, რომ გიკლი!

— რა არის, ღმერთმანი?... ამაღამ არც მინდა შენთან მოსვლა!

— რად არ გაუშვი შენი ბეცი სტუმარი?... რატომ ისულელე!.. წამო ჩემთან ახლავე!

ყური ვცქვიტე. ლოგინზე წამოვიწიე. ნაკლების სიფრთხილით, ვინემ წინად, გაიარეს ჩურჩულით დერეფანი და იმ ოთახის კარებში შევიდნენ, რომლის შეწყრაილებამ პირველად დაარღვია ამ ღამინდელი სიჩუმე.

უსინიდისო, უწმინდური ექვი შემიძვრა თავში... თავი მაგრად გავაქნიე, რათა ის მომეშორებინა... მაგრამ...

დიდს, დიდს ხანს ყურში ერთი ჩქამიც არ ჩამწვეთებია.

„ალბად, მომელანდა!“ გაფიქრე. ისიც იყო ხელები თვალებზე გადავისვი.

„რა უბედური ხარ, შე საწყალო ჩემო თავო!“ მეთქი და კვლავ ტკბილ ოცნებებს მინდოდა დაბრუნებოდი, რომ ბავშვის ტირილი გაისმა. მის ტირილზე მეზობელ ოთახში, საიდანაც მდგმურის სიმღერა ისმოდა, ხმაურობა ატყდა. ვიღაც სკამს ეტაკა. სკამი წაიქცა. მერე კარები გააღო და დერეფნით გამოიქცა მტირალ ბავშვისკენ...

ზე წამოვიჭერი და კარებს მივადევდი ყური. ღიზა ეალერსებოდა ბავშს.

„ა?“ შევეკითხე თავს, უგრძობლად, ქკუა დაბნულად მიყვრდნობოდი კარს.

პატარა ხნის შემდეგ ვიღაცამ მძიმე ნაბიჯით გაიარა ჩემს კართან, უკმაყოფილო ბურღულულით.

— „ქალბატონო, საჭირო თუ ვარ?“

— არა, მაშო!.. წადი, დაიძინე!..

იმავე ბურღულით მძიმედ გამოიარა ჩემს კართან იმავე პირმა. ალბად, ძიძა-მაშო იყო...

არ ვიცი რამდენს ხანს ვიდექ კარებთან. ის კი შევნიშნე, რომ კუნთებ დაჭიმულ დამუჭული ხელები უაზროდ, სულელურად წინ გამეშვირა და მთელის ტანით აკანკალებულიყავ...

... გათენებისას წამძინებოდა, რადგანაც როცა გავახილე თვალები, პატარა კონა მზის სუსტი სხივებისა აღმაცერად დაშვებულიყო აივანის გაყოლებაზე და თვისი ბრჭყალით აცემასურებია ჩემი ოთახის ერთი ფანჯარა. საათს დახვდევ— შვიდს ათი წუთი აკლდა. ფიცხლად ჩავიკვი ტანზე. გაბრაზებული ჩემსავე თავზე, რომ დამძინებოდა და ღამე გამეთენებია ამ სახლში, გამოვარდი გარედ, რათა შორს წავსულიყავ აქედან. აივანზე რომ გავედი, დავინახე ჟიოეტამარა ღიზას მდგმური, რომელსაც ალბად ის ის იყო დაებანა პირი და დილის ჰაერის ჩაყრასვა მოსურვებოდა. მის დანახვაზე მე ძალაუნებურად შევდგე. მან კი თვის გალაღებული სახე ჩემსკენ მობრუნა და თავაზიანი და მისასალმებელი ღიმილით მომპართა. შევამჩნიე, რომ ჩემსკენ გადმოდგა ნაბიჯი. არ ვიცი რა სახით შევხედე, ოღონდ ის კი დავინახე, რომ „მდგმურს“ სწრაფლ გადურბინა ღიმილმა და მის წილ ჩვეულებრივი, თავხედური გამომეტყველება გამოაჩნდა. მე მივბრუნდი და გასავალი კარები გავაღე. ისიც იყო კიბის ორს თუ სამს საფეხურზე დავეშვი, რომ მოკლდნენლად ეტლი გაჩერდა კიბესთან, და ელვის სისწრაფით გადმოხტა შუატანისა, ნახაგებულობის, ქერა ყმაწვილი, დაღლილი სახისა. მისმა კეთილშობლიურმა სახის მეტყველობამ მომაგონა გუშინ საღამოს ნახული სურათი-ღიზას ვასიკო. რომ დამინახა მისი ბინიღგან ასეთს დროს გამომავალი, შეერთა და გაკვირვებით შემომხედა. მაგრამ მე ჩავიბინე კიბე და გამაღებული გავყევი ქუჩას. ქურდივით მივიღტვოდი. რაღაც ხმაურობა მომესმა. მგონი, ღიზას ქმარის ხმა იყო. მას რაღაცა უთხრა მდგმურმა...

მალე მივიმალე...

მივაშურე ჩემს ოთახს.

ჩემ მიერ ათვალისწინებული მარტოობა ახლა სამოთხეთ მოქიჩენა. მივეგდვე ლოგინზე, რათა დამესვენებია, სიმშვიდე მეხოვნა ჩემს ღარიბულ ოთახში...

მალე ისეთნაირად მიღუძმა ჩემი გუნება, რომ გუშინდელი ნახული და გაგონილი ჩემზე უკვე სულ სხვა ნაირად მოქმედობდა. შევამჩნიე, რომ აუღლებელი, გულ გრილი მეცნიერი იღვიძებდა ჩემში, რომელიც „ცივად შეჭყურებს“ მოვლენებს „და რომლისა-

თვის „კეთილი“ და „ბოროტი“ ერთნაირს ღირებულებას წარმოადგენენ... მგონია, ისიც გავიფიქრე, რომ, იქნება, ღიზა უაღრესად მართალი იყო თავის საქციელში, და მე კი მეტის მეტად მტყუანი ჩემის გულუბრყვილო აღელვებითა და რაღაც ბავშური დაღადისით!! —

ჰმ!.. ახირებული არსებაა კაცი, ქეშმარიტად!

მესამე დღეს ღიზასაგან წერილი მივიღე. აი რა მომწერა მან:

„ჩემო კეთილო ძმაო იპოლიტ, ვერ გამიგია შენი უღრავო დროს „გაპარვის“ მიზეზი! რა მოგივიდა იპოლიტ? ღმერთს ვფიცავ, რომ ძალიან შეგვაწუხა ერთობ ყველა შენმა წასვლამ. გუშინ მთელს დღეს მოველოდი, მაგრამ შენ არ მოდი. ტყვილად ჩამიარა მოლოდინმა. მე ძალიან მიანტერესებს შენი ასე გამოუშვებლობად წასვლა ჩემი სახლიდან. მერე კიდევ, იცი, იპოლიტ, რომ ვასიკოს არა სჯერა, რომ შენ სწორედ ის იპოლიტი ხარ, რომელსთანაც მე ვიზღებოდი, ჩემი ძმობილი იპოლიტი!.. წარმოიდგინე! ჰეხ, რა ნაირი ხარო, ღმერთმანი, მამაკაცები! ახლა შენს მოსვლას ვუცდი, რომ შენთან ერთად შევარცხვინო ვასიკო! ზაშ, მოგელი უთუოდ. დღესვე მოდი, თუ შეიძლება.

შენი დობილი ღიზიკო.“

წაკითხვისთანავე ფრთხილად დავკეცე ეს წერილი, როგორც ძვირფასი საბუთი და ჩემი მაგიდის იმ უჯრაში ჩავკეტე, სადაც ვინახავ ხოლმე ასეთს მასალებს. როცა ვინმე ლექსებს დაუწერს ადამიანურს სათნოებასა და ქებათა-ქებას შეასხამს პირუთვნელობას და სიყვარულს ადამიანთა შორის, მე მაშინ გამოვაქვეყნებ იმ საბუთებს! ეს საბუთები კი ყველა ნამდვილია!.. ვაიმე, რომ ნამდვილია!!

— ჯოჯო

მარტი 1913 წ.

ქენივა.

ტყვე

შ. დადიანი.

— და აი ამიტომაც არ მიყვარს და ვერც შევრიგებებივარ სანახაობის უბრალო ყურებას, ვითომდა დატკობას ბუნების მშვენიერი სურათებით... დიად, მე პოეტი არა ვარ და არც ვიქმნები უთუოდ... ამაზე დამკინეთ რამდენიც გნებავთ, მაგრამ მე მაინც ვიტყვი, რომ როდესაც კარგათ ვიცი — ბუნება

სრულიადაც არ არის მოსვენებისა და დატკობის გამომსახავი, როდესაც ვიცი, რომ ყოველ წუთს, ამავე ბუნების წიაღში ბრძოლაა გაჩაღებული, ბრძოლა სამკვდრო-სასიცოცხლო, როდესაც ვიცი, რომ ყოველი ატომი, ყოველი უჯრედი ამ ბუნების შემადგენელი კი არა სტკებება, არამედ ტანჯვითა და ბრძოლით, სიკვდილით და სისხლის ნთხევით ცდილობს, მხოლოდ, სიცოცხლე შეინარჩუნოს, აქ მე ვერავითარ პოეზიას ვერა ვბოვებ, ვერავითარ სიტკბოებას ვერ განვიციდი მისი ნახვით და, რაღა თქმა უნდა, სულ ვერ მხიბლავს ქვევით ყანის დანახვა, რომელიც მუშის წვითა და დავით არის შექმნილი, ან ეს ცხვირის ფარა, რომლის მოვლასა და მოშენებას უნდებია, ვინ იცის, რამდენი გაჭირვებული გლეხის ღონე და ენერგია. ამბობენ დარვინს, როდესაც ბუნებას გადახედავდა, ყოველივე ესმოდა ამ ბუნებისა ისე, როგორც კარგს მემუსიკეს რომელიმე რთული სიმფონიაო, მაგრამ არა მგონია მას რამე აღმაფრენა წვეოდა ამ სანახავზე. ისეთი აღმაფრენა, როგორსაც, — როგორც ამბობენ და თუ არ გვატყუებენ, — პოეტები განიცდიან ხოლმე. ჩემის ფიქრით ანატომს არ უნდა შეეძლოს ქალის საუკეთესო სხეულითაც კი მოიხიბლოს. ქიმიკოსი ფერებსა და სურნელებს ვერ უნდა გრძნობდეს. მისთვის ამეებს ფასი არ უნდა ქონდეთ... დიად, ნამდვილი ცოდნა, სწორ-უტყუარი, მეცნიერული, ზღაპრებსა და ოცნებებს აქარწყლებს, პოეზიას მანტიასა ხდის. არც საჭიროა ეგ მანტია, ეგ კრუ-მორწმუნეობის წამოსახამი... მეტს ვიტყვი: პოეზია პირველ-ყოფილ ადამიანთა საქმეა, ე. ი. არ ცოდნის შვილია. მკოდნეს კი იგ ვერ დაიპყრობს... რას მიქვია ლამაზი სანახავი?... აი ამიტომ არ მინდოდა წამოსვლა დღეს, ბატონო ფაცია!

ტიტიკომ შესწყვიტა მისი სიტყვათა შადრევანი და საარაკო, მართლა სამარისებური სიჩუმე ჩამოვარდა.

ყველა იქ მყოფმა მხოლოდ ეხლა იგრძნო, რომ ირველივ დიდი ხანია მყუდროება დამდგარიყო და ამ მყუდროებას მხოლოდ ტიტკოს ხმის ბგერა არღვევდა. მათ კი ეგონათ, — ტიტკოს ლაპარაკმა თუ დაარწმუნათ — რომ ბუნება ბორგავდა და შფოთავდა...

ციფალუქსა და ისონს დიდი ხანია მიეტოვებინათ ერთი მეორე და, ცალ ცალკე, ხის ძირს მიმსხდარნი, გაკვირვებით შეცქეროდნენ ტიტკოს. სანდრო თავის ადგილიდან ძირს ჩამოჩოჩებულიყო და კისერ-გაწვდილი, პირზე ღიმილით ყურს უგდებდა მჭერ-მეტყველს. მხოლოდ ფაციას არ ეცვალა

ადგილი და ელისაბედს. ფაცია ისევ ისე ქანდაკება-საით გარინდული იყო და მარტო ტიტკოს მიმართვაზე გამოერკვა თითქო. ტიტკოს სიტყვებით გაოცებული ელისაბედი კი ცნობის მოყვარებით შესცქეროდა ფეხზე მდგარს ჯმუხ მოლაპარაკეს. ტიტკოს აღაპარაკება ელისაბედის ბრალი იყო. იმან გამოიწვია სასაუბროთ და ეხლაც ცოტა სიჩუმის შემდეგ ფაციას მაგივრათ ისევ ელისაბედმა წამოიწყო:

— მე ამისთანა არაფერი გამოგონია. ბეგრი ახალი რამე სთქვით...

— არა, მე ახალი არა მითქვამს-რა...

მაშინვე, თითქმის უკმეხათ, შეუბრუნა ტიტკომ.

— შეიძლება, არ ვიცი... ჩემთვის კი ახალია... მაგრამ ეს როგორ არის... აი თქვენ რომ განუმდით, საშინელი მყუდროება ჩამოვარდა. მყუდროება ხომ მოსვენებას ნიშნავს... მაშასადამე ბუნებაც ისვენებს ზოგჯერ... სოფელში იტყვიან ერთი შესვენება ღამით მდინარეც კი შეისვენებსო... უაზროთ არ იქმნება ეს ნათქვამი... მაშ თუ ბუნება ისვენებს, მუდამ ბრძოლა არ არის...

მაგრამ ელისაბედს აღარ გაუთავებია სიტყვები. იასონსა და სანდროს ხმა-მაღალი სიცილი წასკდათ.

— ხედავთ რა დიპლომატიც უოფილა ბატონი ელისაბედ! — სიცილში ჩაურთო იასონმა.

— არა, ბატონო, ეგრე არ გახლავთ. — დიწყო კვლავ ტიტკომ. — მომიტყევთ, შეიძლება თქვენ არ იცოდეთ, მაგრამ ეს უბრალო სახელმძღვანელოებშიაც კია, რომ ღამე ერთი ნაწილი თუ ისვენებს ბუნებისა, მეორე ნაწილი მაინც მოქმედებისა და ისევ ისე ბრძოლაშია. მაგ. პირუტყვთა სამეფოდან ლომი, ვეფხი და სხვა მტაცებელი. ფრინველებშიაც კოტი, ბუ და სხვ. ახლა მცენარეებში... მათი ფესვები, ღეროები ფოთლები არასოდეს არ ისვენებენ საზრდოს მოსაპოვებლათ და გამოსაკვებათ. მათ არ იციან დღე, ღამე. ზოგი ყვავილიც კი, აი თქვენი პოეზიის მიერ მოწონებული ყვავილიც კი ღამ-ღამობით იშლება ხოლმე, მაგრამ, რა თქმა უნდა, პოეტის მოსაწონათ კი არა, თავის თავის დასაცველათ და არსებობის მოსაპოვებლათ. ეხლა ლითონები, მიწის ზე-ნიადაგი, ქვე-ნიადაგი და სხვ. ერთის სიტყვით პროცესი ბრძოლისა, შემოქმედებისა, ნგრევისა და შენებისა არასოდეს, არც ერთ წუთს არ ისაობა...

სანდროს მოსწყინდა ტიტკოს მოსმენა და ისევ მიწვა განზე თავისთვის და ფაციას შეაჩერდა.

ფაცია ისევ ისე გარინდული იყო. მხოლოდ ეხვა იქ მსხდომთ ეტყობოდათ ყურადღება.

რას ფიქრობდა ფაცია? საით რბოდა მისი გონება?

სანდრო შეჩერებოდა მას და ასე ხსნიდა მისი სულის განწყობილებას:

— აი ეს კიდევ სულ სხვას ფიქრობს... ახალგაზდა ქალი, სამი-ოთხი წელიწადია, რაც სწავლა დაასრულა, გიმნაზიის ცხრა კლასი. ერთ დროს მოძრაობამ გაიტაცა. იყო ციხეშიაც. ეხლა მასწავლებლობს. იდეურათ ტიტკოს მომხრეა, მატერიალისტია ეგვე. მაგრამ ვერ დავიჯერებ ბუნების იდეალური ძალი მაგასაც არ იწვევდეს სანეტაროთ? ეს ხომ კანონი უნდა იყოს ბუნებისა? თუნდა ტიტკო მართალიც იყოს თავის მოძველებულ თეორიით: არსებობისათვის ბრძოლას მიზნათ ნეტარება აქვს და ამას ყველა მიესწრათ. აი აქ იწყება პოეზია. პოეზია თვით ბრძოლასაც ახლავს, მაგრამ სრული სიმართლეა, რომ ეგ მხოლოდ ადამიანის შექმნილია, ეს... პოეზიაა და თავით თვისით ბუნებამ შეიძლება არც იცოდეს პოეზია რა ხილია. ბუნების დიადი გარიგებულობა, მისი საზენაო ჰარმონია მხოლოდ ჩვენ, ადამიანებს გვანიჭებს საუცხოო რამ სიამოვნებას და ეს უმაღლესი სიამის განცდა უნდა იყოს ჩვენი პოეზია. უამისობა არ შეიძლება. ადამიანი მართლაც, რომ საბოლოოდ უმაღლესი გამოთქმა ბუნებისა და ამ მაღალ არსს კარგათ ესმის შევენება და სილამაზე მისი მშობელისა...

რატომ არ უთხრა ყველა ეს ტიტკოს?

სანდრო თქმაში ცოტა ზარმაცი იყო და არც თუ ეგრე ახირებულათ გამოეკამათებოდა ვისმე.

მაგრამ რას ფიქრობს მაინც ფაცია?... ეს კითხვა არ შორდებოდა სანდროს გონებას და მხოლოდ ერთ პასუხს პოულობდა: ისიც სხვა გვარს.

სანდროს თეორია თანდათან მყარდებოდა! მტკიცდებოდა მის გონებაში.

— აი მე აქა ვარ წამოწოლილი. ფაცია ცოტა განზე. ელისაბედი უფრო მაღლა ზის. ტიტკო ჩემკენ პირ-შემოქცეულია. ყველას შეგვიძლია აი ეს ბუჩქი ამ ბინდშიაც დავინახოთ. მაგრამ მე მთელ ბუჩქს ვუყურებ, ფაცია ერთ მხარეს დაინახავს, ელისაბედი მხოლოდ ერთ ყურეს და ტიტკო დაინახავს ხულ, მაგრამ მეორე მხრიდან კი. ესეა. საქმე ადგილზეა, საიდან უყურებ! ცხოვრებაშიაც — საქმე პიროვნებაზეა: სადაური ხარ, როგორა ხარ აღზრდილი, რა ცოდნა გაქვს, რა ტემპერამენტი, როგორი გამჭრიახობა და სხვა ამიტომ არა ჰგავს ჩემი განცდა და აზროვნება იმისას, იმისი ჩემსას, არა, ადამიანი არ არის სოციალური ცხოველი. იგი განკერძოებითია და შემკრებელობით მხოლოდ შეთანხმე-

ბა ამოქმედებს... ზოგჯერ ინსტიტუტური... მართალია...

—სანდრომ ველარ მოიგონა ამ ხელად მეტი საბუთები და ცოტა არ იყოს თავის თავისა შერცხვა. იგრძნო, რომ ასე ერთის წამოკვრით ვერ გადასწყვეტდა საკითხს.

მაინც მისი ყურადღება ისევ ტიტუკომ მიიქცია. ტიტუკო ამბობდა.

— რაც გინდათ ის მითხარით, მე მაინც მგონია, რომ ადამიანი ბოროტათ არის გაჩენილი...

მაყურებლებმა კიდევ უფრო ყურები ცქვიტეს. ეტყობოდათ, ელისაბედისთვის კი არა, მათთვისაც ახალი იყო ზოგი დებულება ტიტუკოსი.

— ადამიანს არ შეუძლია კეთილი იყოს. მართო ის ტანჯვა-წვალება, არ ვიტყვი სოციალურზე, რაც მას ბუნების ძალთა თუ „მადლთა“ გამოყენებაში უხდება, მას აღიზიანებს, აბრაზებს და მუდამ საომარ ფეხზე აყენებს. ეს საუკუნოებით მოგვდგამს. რაკი სიცხე, თოვლი და წვიმა, წყალი და ცეცხლი, ტყე და კლდე, ეწერი და ქაობი, ზღვა, ყველა ეს ადამიანს მუდამ აჯავრებდა, ნერვებს უშლიდა, ილაჯს უწყვეტად, ყველა ეს მოითხოვდა გამუდმებულ ბრძოლას, გამუდმებულ მუშაობას, სიფრთხილეს, სიფხიზლეს, ტანის მოქნილობას, მკლავის ღონეს, გონების მახვილობას... ეხლა მხცებთან გამკლავება, საზრდოს მოპოება, ავანტიურებისთან ბრძოლა და შემდეგ კიდევ ბრძოლა ისევ თავის მოძმესთან, სუსტისა და ძლიერის შეტაკება, ერთი მეორის ჩაგვრა, ძალმომრეობა. მაშ რატომ უნდა იყოს ადამიანი კეთილი? რათ უნდა სწამდეს მას მშვენიერება? სად არის ეგ მშვენიერება?...

— უკაცრავათ, გაგაწყვეტინებთ... — დასძრა ენა იასონმა — მაშ ხელოვნება საიდან გაჩნდა? ადამიანი მართალია ბრძოლაში იყო, არის და იქმნება კიდევ, მაგრამ ხომ მანვე შექმნა ამ ბრძოლასთან ერთად მისი ხელოვნება: მისი ზღაპრები, მისი თქმულებანი, მისი მითები, მისი შაირები, ცეკვა, ხატვა, ხუროთმოძღვრება და ეხლა ხომ კარგათ იცით რა სიმაღლემდე აიყვანა მწერლობა, ქანდაკება, მსახიობობა...

— ვიცი. ეს ყველაფერი თამაშით გაჩნდა, ბრძოლის შემდეგ, როცა ისვენებდა გამარჯვებული, როცა ცრუ-მორწმუნეობის ექსტაზით გატაცებული ფერხულს უვლიდა, შაირს თხზავდა და ბრძოლაში თავდადებულ მის მოძმეს საგმირო ლეგენდებს უქმნიდა... მერე რა? ეს იყო მოკლილობის დროს, ეს იყო მისი ბავშობის დროს... ის, როდესაც ქეიფზე იყო, ეგონა ყველაფერი ლამაზიყო, ყვე-

ლაფერი დაწყნარებული, მშვიდი და მწყაზარი... თქვენ არ გამოგიცდიათ სერიოზული ავანტიურა?.. მე ვიყავ ერთხელ ფილტვის ანთებით ავით... ძლიერ რომ გადავჩი, მორჩენილზე მიწოდდა ყველას გადავხვევდი, ყველასთვის მგოცნა. ყველა მიყვარდა, ყველა მშვენიერათ, სათნოთ და კარგათ მეჩვენებოდა... მერე რა? ეს — მეჩვენებოდა. — განა ასე იყო? ჰო და რაკი ვიცოდი, რომ ასე არ იყო, ამიტომ არც არავინ შევიყვარე...

— და არც არავის აკოცე... ჰა, ჰა!.. გაღიხარხარა სანდრომ. სხვებმაც ბანი მისცეს. თვით ტიტუკომაც გაიცინა.

— რა ბოროტი ხარა! — წარმოსთქვა ფაციამ.

— ოო, ფაციამ ხმა ამოიღო, ფაციამ! — შესძახა სანდრომ და წამოხტა.

შეიქნა საერთო გუგუნი. ფაციას მიცვინდენ. მწყობრი დარღვეული იყო და ტიტუკოს აღარ განუგრძობია.

ელისაბედიც წამოღდა.

— სად დაიკარგენ ჩვენები? — წარმოსთქვა მან.

— ჰეი. — ჰუუ!.. — გასძახეს ყმაწვილებმა ზურაბ! თიკო!..

და ყველანი გაემართენ იქით, სითაც თიკო და ზურაბი წავიდენ.

ისინი კი, იქ სადაც ერთ ალაგას წვიმას მიწა ჩაერეცხა და კლდის პირი გამოეჩინა, მის კონწოხზე წამომსხდარიყვენ.

თვალი კარგათ ველარ არჩევდა არე-მარეს.

ბინდის თაღბი ლეჩაქი, იქა-აქ უკვე ვარსკვლავით შექარგული, თანდათან უფრო სქლიათ ეხვეოდა ზურაბსა და დათიკოს, მაგრამ მათ არ უგრძნობიათ მისი მობურვა, არ შეუტყვიათ მისი რჩევა.

ვერც ის შეიტყვეს თუ როგორ წამოადგენ თავზე მათი მეგობრები. ვერ შეიტყვეს სანამ არ გამოეხმაურენ.

ცოტა ხნის შემდეგ ყველა მიუყვებოდა სოფლის დაღმართს.

მ. ქროს შერძი

(დასასრულები შემდეგ).

ერთხელ მდინარის პირას.

ღია ჩიანელი.

გაზაფხულია. ტურფათ მოირთო ბუნება. მო-
 რცხვით იცქირება ახლათ შემოსილი არე-მარე. მზე
 იცინის და ხვევს სამყაროს ოქროსფერ სხივებში,
 გრძნობით კოცნის. კოცნის მთა ველს, კოცნის ათ-
 ქვირებულ მიდამოს, ეთამაშება მთის გიჟმაყ ჩან-
 ჩქერებს. იცინის მზე და ნაზ სხივებს ღედამიწის
 ზედაპირს აქსოვს. აი, ავერ მისი სხივი ჩაეკონაჯერ
 კიდევ გაუფუჩქენელ ვარდის კუკურს: შიგ შეიპარა.
 აათრთოლა, გადმოშალა.

გადმოშალა მოლიმარი, ნაზი, მოხარული. აი,
 ნელის ღიტივით თავს მოეხვია ახლათ ამოწვერილ
 სიმინდის ყლორტებს — შეაკრთო და ნეტარებით აღ-
 საესე ზევით ასწია. ააბიბინა ნელმა სიომ და გაზაფ-
 ხულის ტკბილი ზღაპარი ჟრჟოლით უმღერა.

ხარობს მზე. მისი ღიმილი ჩიტუნებს ახარებს
 და ესენიც კისკისობენ, ჟივიან.

აი, ამ დროს, როცა ტურფათ მოირთო ბუნე-
 ბა და გულმკერდი მზის ციალით დაიმშვენა, ახლათ
 შემოსილ ტირიფ-ვერხეთა შორის მდინარის პირას
 კისკისი გაისმოდა — და თან ნელი ღიღინი. ეს კის-
 კისი, ღიღინში ვალესილი, მზის ძღვენი იყო — მზის
 მიერ შექმნილი. ეს კისკისი, მომხიბლავი, უდარ-
 დელი იყო, ვით თვით უდარდელიობა. ეს კისკისი
 მზის სხივებიდან მონაქსოვი და მდინარის შხუილით
 დანაფერი გატაცება იყო, რომელსაც თვისი მომ-
 ხიბლავი სახე მიეღო. — ქვეყნათ ჩამოქრილი ცქრია-
 ლა თექვსმეტი გაზაფხულის ნაკვეთ-აზრდილი ასუ-
 ლის გულში ჩამძვრალიყო. მდინარეზე გადამდგარ
 ასწლოვან ვერხვის შტოზე გასული — კისკისებდა
 ნორჩი ასული. თავის კისკისს მზის სხივებში აწნაე-
 და, თავის უდარდელიობას მდინარის რაკრაკში აწე-
 ბივრებდა. მისი ღიღილი უცოდველი იყო, ვით
 გაზაფხულის ნაზი ღიმილი. მისი გული სიხარულით
 მთრთოლავი იყო, რადგან მან ჯერ არ იცოდა რა
 იყო სევდა, არ იცოდა რა იყო ბოღმა. და იგი ვერ-
 ხვის შტოზე მჯდომარე ქანაობდა. ქვეშ კი პაწა
 მდინარე რალაცას ბუტბუტებდა, მოსთქვამდა.

უცებ ასული შეკრთა. შორით რალაც ტკბილი
 ხმა მოესმა. ვიანაბა. ნიავმა მოკრიბა ჰაერში გაბ-
 ნეული ჰანგის სიტყვები — ერთათ შეკონა და ასულს
 მიართვა — ბოლოს დაართა მთელი თაიგული,
 ასობით მოქსოვა მომხიბლავი ჰანგი და უდარდე-
 ლი ასული შიგ ვახვია. ჟრუჟანტელმა ტანში დაუარა.

ტკბილი, ტკბილი იყო შორეული ჰანგი, რო-
 მელიც სულ ახლოვდებოდა, განაბული გასჩერებო-
 და ასული იმ ადგილს, საიდანაც ხმა მოისმოდა.

შეკრთა ასულის უდარდელიობა — მის სახეზე
 პირველათ რალაც გამოუცნობელი სევდის თალხი
 მოიქსოვა.

რა იყო ამის მიზეზი? ნუ თუ ღიღინი. სევ-
 დით სავსე ღიღინი ახალგაზდა მებადურისა, რომე-
 ლიც მდინარის გულს ბადით სერავდა.

ნუ თუ მებადურის ღიღინმა დაუსერა ასულს
 გული, რომელიც ვერხვიდან ძირს ჩამოცოცდა და
 იქვე მის ძირას მდელიოზე წამოწვა?

ღიღინით მოუახლოვდა ვაჟი ვერხვის ძირას
 მოდუღუნე მორვეს, ბადე გადისროლა, და მორვეის
 სიღრმიდან მარგალიტების ცვრები ამოაყრევია. შესდ-
 გა. ბადეს არ სწევს, იგი სევდით მომლიმარე ასულმა
 მოაჯადოვა — უცნაური ღიღინი გულში ჩაუკვდა.

ბოლოს გონს მოვიდა, ბადე მოსწია — მოზრდი-
 ლი თევზი დაიჭირა..

— თევზი!.. — წამოძახა ასულმა.

ყმაწვილა მიუახლოვდა, თვალეებში ჩააშტერდა,
 პარკიდან თევზი ამოიღო და ასულს გაუწოდა. ასუ-
 ლი შეკრთა, სიწითლემ გადაკრა და უარი უთხრა.

— წა.. ხმა ჩაუწყდა. კალთაში ჩაუდვა. შავი-
 დიდრონი თვალეები ასულის არსებაში ჩააქსოვა და
 დაფიქრებული მდინარეს შეუყვია.

ასული ვერხვის ძირას იჯდა და თევზს დასჩე-
 რებოდა, რომელიც კიდევ პირს ადებდა — კრთოდა.
 ჩაკვირდა თევზს. მდინარის პირს მიიტანა და
 წყალში ჩასდო. თევზმა იგრძნო წყლის ძალა და
 სუნთქვა დაიწყა. შეამჩნია ასულმა თევზს და
 ხელი უშვა, თევზი მდინარეში ზოხვით შეცუ-
 რდა. ასული მდინარეს ჩააჩერდა, და აი პირ-
 ველათ იგი მდინარეში ჩაუკვირდა თავის ხატებას.
 ღრმათ ჩაფიქრდა იგი. გული აუთრთოლდა, პირვე-
 ლათ ასულმა რალაც შორეული ნეტარება იგრძნო.
 მაგრამ, რა! რა იყო ეს მომხიბლავი ძალა, ჯერ
 ვერ გაეგო. და ფიქრმა უფრო შეიპყრო იგი და
 სევდა უფრო გამოეხატა თვალეებში. მიაშტერდა
 თავის ხატებას წყალში ასული და შეკრთა. ამოხკდა
 ოხვრა და თვალიდან მარგალიტი — ცხელი ცრემლი
 — ცრემლი გამოურკვეველი სევდისა, პირველათ გად-
 მოვარდა. რომელიც მდინარის ზედაპირს დაეცა,
 გაიყინა, მარგალიტათ იქცა და მორვეის ფსკერზე
 სევდით აღსაესე კრიალით დაესვენა.

ასული გამოერკვა, მზეს თვალი მოავლო. მისი
 ტანი სიხარულმა აიტაცა და კისკისით ბუჩქნარში
 შევარდა.

2.

გავიდა ხანი, ასულმა მთელი თვისი არსებით შეიყვარა ის მდინარე, რომელმაც პირველათ უხილავი ამფოთოვანებელი ძალა მასში გალესა შეიყვარა და დღე არ გაივლიდა მის კიდეს არ მისამებოდა. ახლაც მდინარის პირს იჯდა, შიგ ჩაებარება თეთრი ფეხები, რომელსაც ანკარა ტალღები ხარბათ კოცნიდა. გაშტერებული იყო ასული. მდინარე კი მოლიკლიკებდა, ბუტბუტებდა და საიდუმლო ლოცვას იმღერდა, რომელსაც მთლათ მოეტაცა ასულის არსება—ესმოდა მას მდინარის სევდიანი ჰანგი და მიყრდნობოდა მის გიჟურ-ვენებით სავსე ჟღერტულს, მიყრდნობოდა და თავის სულის ძაფები მასში გაელესა. რალაც უცნაური გრძობა აღუძრა, რალაც სულ გაუგებარი აკორდი ჩასძახა მდინარის დუდუნმა ასულს და იგიც შემკრთალი ვით ნუკრი, წუთით გაიტაცა ამ მომხიბლაჲმა, უცნობმა გრძობამ...

წინ ახალგაზდა შებადური დაეხატა. მოესმა მისი სევდიანი სიმღერა, რომელიც სიყვარულის ლოცვა იყო... გამოფხიზლდა. მოსწყვიტა თვალი მდინარის ტალღათა ციალს და მიდამოს გახედა. აი მწვანეთ მოსილი თხემები, ხავერდოვანი მინდვრები. შორს ყინულით მორთული მთის მწვერვალი.. მაგრამ ისევ ისე ძვირფასია მისთვის ეს პაწა მდინარე. ასული მერცხლის ჭიკჭიკმა გამოაფხიზლა.

უცებ შორით ნადვლიანი სიმღერა გაისმა. ასულს თვისი თავი სიზმარში ეგონა. ყური მიუგდო. ნაცნობი ლილინი სევდიანი ჰანგი იყო. —ის. გაიფიქრა ასულმა და გულმა ძგერა უწყო.

დიდხანს არ გაუვლია, იგიც გამოჩნდა. ბადით ხელში მდინარეს ზევით მიყვებოდა. აი კიდეც მიუახლოვდა ასულს. შესდგა, გაუღიმა. მიესალმა. ავიდა მასთან ნაპირზე და გვერდში მოუჯდა. ასული მთლათ ათრთოლდა. შელის ნუკრით კრთობა იწყო. შენიშნა ვაჟმა და ნორჩ ჭაბუკის სხეულში სისხლი ვნებიანათ ათამაშდა.

— რას აკეთებ აქ? დაეკითხა ვაჟი.
— არაფერს. —თავი ჩალუნა მდინარეს ჩააშტერდა.

მიაშტერდა ვაჟი ასულს. მისი სილამაზით გული აუძგერდა. მისმა გიშრის თვალებმა, თვალები დაუბნელა და აქ მდინარის პირას, სადაც მშვენიერება და ვნება ერთად ჩაქსოვილიყო, სადაც, ვინ იცის მთვარიან ღამეში რამდენი ვნებით სავსე ალები შეკრებილან და გრძობით დამთვრალნი ფერხულში ჩამბულან! აი ამ ადგილას— ვაჟს წინ სინამდვილეში

წარმოუდგა მშვენიერი ალქალი, რომლის მარწყვის ფერი ტუჩები კოცნას იწვევდა, რომლის მთელი სხეული თავისკენ იზიდავდა და ვაჟს გულმა ცემა დაუწყო. ყველაფერი დაავიწყდა. მაგრამ მოესმა მერცხლის ჭიკჭიკი, თვალი მოავლო ასულს—არე მარეს, მოესმა მდინარის ლოცვა; ნიავის ბუტბუტი, რომელმაც მას გულიდან ამოგლიჯა უწმიდური გრძობა და იგი გაიტაცა უმწიკლო ასულის მშვენიერებამ, რომელშიც ანგლოზსა და ალს ერთად შევერთებიათ თვისი მომხიბლაობა.

— მშვენიერო!!
ასულმა თავი დახარა—მერე გვერდზე გაიხედა.
— ვაიმე დედა! --ზეზე წამოვარდა.
— რა იყო?
— აგერ წითელი გველი— ზურგზე შავი ზოლი!!

ვაჟმა ქვას ხელი წამოავლო, მაგრამ რა შენიშნა პაწა გველის წიწილას, ასული დაამშვიდა.

— ნუ მოკლავ, რა წითელია, — იყო ხმა.
— რა წითელია, აი ის უნდა დამიჭიროს თურმე კაცმა თავი მოსჭრას ვერცხლის დანით—თავში ნემსი გაუყაროს და შემდეგ ვისაც იმ ნემსს დააბნევს, იგი შეიყვარებს.

— მართლა?
— მაშ.
— მაშ დამიჭირე. მომიტანე მისი თავი ნემსით.
— ვისთვის გინდა მერე?

ასულს შერცხვა, თავი დახარა. სიწითლემ გადაკრა. ამასობაში გველი მიიმალა. ვაჟმა ბადე აიწყო. ასულს თვალებში მიაშტერდა და მორევს ბადით გული დაუსერა. მეორე ნაპირს გავიდა.

ასული მიჩერებოდა.
— რომ დავიჭირო წითელი გველი სად მოგცე?

— ყოველ საღამოობით ამ ადგილს ვიქნები.. მეორეთ გაისმა ბადის ტლაშუნი. ვაჟი ბუჩქებს მოეფარა. ასული კი ისევ მდინარის ტალღებს ჩასჩერებოდა და უმწიკლო გრძობით გატაცებული ისმენდა უცნობ მელოდის, რომელიც ნიავეთან შევერთებული მის არსებას ათრთოლებდა...

3.

რათ უნდა ასულს წითელი გველის თავი ვერცხლის დანით კვეთილი, როდესაც იგი მისთვის ისეთივე წამალს ეძიებს?! რათ უნდა ასულს სიყვარულის გამომწვევი ძალა, როცა ეს ძალა ვაჟის გულში იფუჩქნება და მისი სურნელება არე-მარეს თავს ეთალხება.

მაგრამ ეს კი იცის ასულმა? არა! და ასულიც

წითელ გველის თავს ნატრობს, რომ მისი ძალით მებაღური დაიმორჩილოს.

მაგრამ ვაჟის გული ისედაც მოჯადოებულია, გაზაფხულის მზის სხივებმა მოკრიბა ერთად ასულის მიერ სიყვარულის ნასუნთქი ძაფები, მოქსოვა საოცნებო გრძნობის მანტია, რომელიც მოიტაცა საამურმა ნიავმა და ახალგაზდა მებაღური შიგ გახვია, ამიტომაც იგი გაიჭრა ტყეთ და წითელ გველს ეძებს მაგრამ ჯერ ამოა მისი ძებნა—იგი სიყვარულით მოვრალი ეძებს, გიჟივით დაძრწის.

შუა ზაფხული იყო, როცა ისინი ერთმანეთს შეხვდნენ.

ეს ის დრო იყო, როცა მნათობი ცის ტატნობზე აღარ სჩანდა, მხოლოდ „მკედრის მზის“ სხივები ქვეყანას ყვითელ-მკრთალ ფერს აძლევდა. სუსტი იყო ეს „მკედრის სხივები“, ისინი აჩრდილებივით დაძრწოდა დედამიწაზე, სევდით მოკუთული ხან აქ გააშუქებდა არეს, ხან შორს გაიჭრებოდა და მისი ბოღმის მომგვრელი ხეტიალი ადამიანს გულს უსერავდა.

აი ამ სხივებმა გახვია თავის მანტიაში ნორჩი ასული და სევდიანი ხმით უამბო ვაჟის სიყვარული. და აათრთოლა იგი ვით თვით „მკედრის სხივები“. იგი ვაჟი ფერმიხდილი მიუახლოვდა. ხელი გაუშვირა.

— მოგიტანე.

— მართლა?

— დიახ, გაუწოდა.—ფერმიხდილი ასულს თვალეებში მისჩერებოდა.

— მოგიტანე—აი მხოლოდ ნახევარი საათი იქმნება, რაც მთის ფერდობზე დავიჭირე. დავიჭირე, თავი მოვეკეთე, მაგრამ დამშხამა...

— დამშხამა?

— დამშხამა, მაგრამ არაფერი მიშავს—კრთოლვით მიუგო ყმაწვილმა.

— დამშხამა, მაგრამ...—ენა ჩაუვარდა.

— ვისთვის გინდა, მაინც მითხარი? ამოსკდა ვაჟს გულიდგან და ასულის თვალეები სულში ჩაიძვრინა.

— შენ... თვის! ამოსკდა ასულს გულიდან და ყმაწვილს ქვითინით გულზე მიეყრდნო...

— შენ, შენ გიყვარვარ? წამოიძახა ვაჟმა და ღონე მიხდილი მის ტუჩებს დაეკონა, მაგრამ წამით, რადგან გულშემოყრილი, მდელიოზე დაეცა.

— გა...ხს...ოვ...დე... უკანასკნელათ ამოსკდა ვაჟს და თვალეები დახუჭა. ასული გულზე დაეყრდნო და მწარე ქვითინით მის ტუჩებს კოცნიდა, მის პირისახეს ცხელი ცრემლით რწყავდა.

უკანასკნელათ გაითამაშა „მკედრის მზის“ სხივებმა და თავის მკრთალ სუდარაში გახვია ქალ-ვაჟი, რომელთა შორის ერთი სხვერპლი იყო უსახლდრო ტრფობის, მეორე კი ნაზი სასხვერპლო, რომელზედაც შეიწირა უმწიკველო სხვერპლი, მაგრამ თვითაც დაიმსხვრა, რადგან სათუთმა ვერ აიტანა მისთვის დაკლული წმინდა ზეარაკი.

პირველი ნაბიჯი.

ჩვენი პირველი გამოსვლა ჩვენთვის მეტათ სასიხარულო გამოდგა.

საქმის დასაწყისში ჩვენ ის თავისებური ბედნიერება ვიგრძენით, რომელიც თან ახლავს ხოლმე შრომის და სურვილის დაფასებას.

თუმცა რიცხვით ჩვენი ჟურნალი განსაზღვრულზე მეტი დაისტამბა, მაგრამ ამ სტრატეგიების წერის დროს კანტორაში თითქმის სულ აღარ არის ეკვემპლიარები. აგენტები ყოველ დღე გვთხოვენ თუ დეპეშით, თუ წერილობით ჟურნალის ხელ მეორეთ გამოგზავნას. ბევრი გაგზავნილ რიცხვზე ერთი ორათ მეტს თხოულობს.

სამწუხაროთ მათ თხოვნას ვერ ვაკმაყოფილებთ რადგანაც, როგორც იყო აღნიშნული, ეგზემპლიარები გამოგველია და ხელახლა დაბეჭდვა ჩვენთვის მოუხერხებელი შეიქნა, რადგან შრიფტი უკვე გადარჩეული აღმოჩნდა.

ყველა ის მოლოცვები, რომელიც ჩვენ მოგვდის, საუკეთესო საბუთია იმისი, რომ ჩვენში, „ოქროს ვერძის“ ტიპის ჟურნალი სასურველია,—კიდევ მეტი—აუცილებელი საქიროებაა.

თვით ჩვენი ცხოვრება ითხოვს იმ სამწუხარო მდგომარეობის გამორკვევას, რომელშიდაც ამ უამაღ ჩვენი ხელოვნება იმყოფება.

ვაიღვიძა იმის შეგნებამ რომ ჩვენ ვივიწყებთ მას, რაც ჩვენთვის ყველაზე სასურველი და საყვარელია...

ჩვენ თანამგრძობთ, ჩვენს მკითხველებს-მეგობრებს ერთი საეჭვო კითხვა ებადებათ: გაგრძელდება თუ არა თქვენი ჟურნალის საქმე ისე როგორც დაიწყეთო!

ჩვენ აქ ვიტყვი იმაზე მეტსაც, რასაც ისინი მოელოან. ჩვენი პირველი ნაბიჯი ვერც კი აკმაყოფილებს ჩვენი მომავლის გეგმას.

ჩვენი მოვალეობაა—ყოველნაირად გავაუმჯობესოთ ჩვენი ჟურნალის საქმე: როგორც შინაარსით ისე ტექნიკურათაც. ჩვენი მოვალეობაა, იმ საზოგადო-

დობას, რომელიც ჩვენ თანაგრძნობას გვიცხადებს, მივაწოდოთ ყოველივე სასურველი.

და მეგობრები-მკითხველები თვით დარწმუნდებიან, თუ როგორ დაფასებთ ჩვენ შემდეგში მათ ყურადღებას.

ჯერ კი დიდი მადლობა ყველა იმათ ვინც პირველ ნაბიჯს, ჩვენთვის დიდათ სასიხარულო თანაგრძნობა გამოუცხადა.

ანკეტი.

პირველ ნომერში გამოთქმულმა აზრმა „თანამედროვე საქართველო“-ს ექსკურსიის მოწყობაზე, სასურველი შთაბეჭდილება მოახდინა. ბევრი ჩვენი ახალგაზრდა მგოსნები, მსახიობნი, სიამოვნებით მიეგებენ ჩვენ წინადადებას და ჩქარობენ გაიგონ აზრი თავიანთ თანატოლებისა. ამ მიზნით ჩვენ ვმართავთ პატარა ანკეტას. ამ ნომერთან ერთად, ექსკურსიაში სასურველ წევრთ, ეგზავნებათ საანკეტო ფურცლები. პასუხი ვთხოვთ მოგვაწოდონ არა უგვიანეს სამი კვირისა. აგრეთვე ვთხოვთ ფურცლების მიმღებთ, დაწვრილებით გვიპასუხონ სათითაოთ მოცემულ კითხვებზე.

ყოველი პასუხი ჩვენ ჟურნალში იქნება გამოცხადებული.

თეატრალური კონტურები.

ზიგზაგილი.

თეატრის ევოლუციაში, დიდი მნიშვნელობა აქვს იმ საკითხს, თუ ვინ უდგას სათავეში თეატრს.

იქ, სადაც თეატრალური საქმე უმადლეს განვითარებამდის ავიდა, ეს საკითხი ნათლად არის გადაწყვეტილი. თეატრის მართვა მხოლოდ მას შეუძლია, ვინც მასთან დაახლოებულია, ესმის მისი ავიც და კარგიც. ვისი სულიც ხელოვნებასთან არ არის დანათესავებული, ის ვერ ჩასწვდება მის სიღიადეს, ვერ გაიგებს მას და აქედან, ნათელია, რომ ვერც წაუძღვება წინ.

და თუ ამგვარი ადამიანი ნაძალადევათ დააპირებს თეატრის, და საზოგადოთ ხელოვნების აყვავების სათავეში ჩადგომას, მაშინ ხელოვნება დაღუპვის უფსკურულისაკენ ისწრაფის. მეორე აუცილებელი საჭიროება თეატრის განვითარებისათვის ნიუთიერათ უზრუნველყოფაა. თეატრი მოითხოვს დღითი დღე განახლებას, ყოველ ახალ სცენიურ ნაწარმოებს ახალი ხარჯი მოსდევს, და თუ ეს სია-

ხლე რამდენიმეთ მაინც არ ირის დატული, მაშინ თეატრიდან რჩება ძველი შთაბეჭდილება, რაც სრულიათ კარგავს ილიუზიას.

ჩვენდა საუბედუროთ ჩვენი თეატრი საცხებით თუ არა, უმეტეს შემთხვევაში მაინც განიცდის როგორც პირველს, ისე მეორეს ნაკლებლოვანებას, რაც მეტად ღრმა კვალს ტოვებს იმის განვითარებაში. ჩვენში თეატრის სათავეში მდგომ კომისიებზე არის და მოკიდებული ამა თუ იმ პიესის დადგმის ბედ-იღბალი.

ჩვენი რეჟისორი ამ კომისიების ხელშია ჩავარდნილი, და ბევრიც რომ ეცადოს პიესის დადგმისათვის თვისი ინდივიდუალური გეგმა გამოიყენოს, ვერ შესძლებს, თუ ეს კომისიის ნება არ იქნა.

სამწუხაროთ კომისიის წევრნი ხშირათ უვიცონი, ზღუდავენ რეჟისორის სურვილებს. აქედან წარმოდგება შემოქმედების დაკოფა, ოცნების ფრთის შეკვეცა, და აპოთეოზში ძველი შთაბეჭდილება, ილიუზიის დაკარგვა.

როგორ შესძლოს რეჟისორმა პიესის კარგათ მოწყობა, როდესაც მას ხშირათ უარს ეუბნებიან აუცილებელ საჭიროებაზე, უარს ეუბნებიან გროშებზე, რომელნიც მან დეკორაციის ტილოს და საღებავებს უნდა მოახმაროს?

ყოველ პიესის მოწყობას, რეჟისორის შემოქმედებითი აზროვნება ჭირდება. ჩვენი რეჟისორის შემოქმედებითი აზროვნება კი მოკლებულია მთლიანობას, რადგან მას მრავალი გარეგანი მდგომარეობა უშლის ხელს.

ნაცვლად იმისა რომ მან დეკორაცია დაამზადებინოს მხატვარს, ჩვენი რეჟისორი ხშირად ვალდებულიად ხდება თვით დახატოს საჭირო დეკორაცია, მიუხედავათ იმისა, შესწევს თუ არა მას ამისთვის ნიჭი და უნარი.

თუ ეს უკანასკნელნი მას ცოტათი მაინც უწყობენ ხელს, მაშინ რეჟისორი ბედნიერია მაგრამ რამდენი დაბრკოლება ხედება კიდევ მას წინ, რომ თავისი ნიჭი გამოიყენოს. ახალი ტილოს ნაცვლად იგი უბრუნებს პირს დახატულ დეკორაციას, მოუხმარებლად, მარტოდ-მარტო იწყებს მუშაობას, და დასასრულ რცხვენია თავის ნამუშევარისა, რადგან სურვილების მესხედიც ვერ დააკმაყოფილა. და ამ გულში დაფარულ სირცხვილით, ჩვენი რეჟისორი ვალდებულია წადგეს საზოგადოების წინაშე.

რეჟისორის მარჯვენა ხელი მხატვარი - დეკორატორია. პიესის დადგმის სიღამაზე უმთავრესად მხატვრულ განყოფილებაშია. ჩვენ დარწმუნებული უნდა ვიყოთ, რომ ვერც სტანისლავსკი და ვერც სხვა

გამოჩენილი რეჟისორი ვერ მიაწვდა თავის სახელ-ვანთქმულობას, რომ მათ დამხმარეთ არ ყავდეთ ისეთი ნიჭიერი მხატვრები - დეკორატორები როგორც არიან ა. ბენუა, დობუჟინსკი, ბაკსტა, რერიხი, შერვაშიძე და სხვანი. ესენი სულს უღდმენ პიესის მოწყობას, ამათზე დამყარებულია სიმძიმის ცენტრი.

ჩვენ კი ამ აუცილებელ საქიროებას მოკლებული ვართ (მხედველობაში გვყავს უმეტესათ ქუთაისის თეატრი), რაც უდიდეს ვნებას აყენებს რეჟისორის მუშაობას.

მაგრამ ამ ვნებას კიდევ ბევრი სხვა არა ნაკლები ემატება. თეატრალური კომისია სრულებით არ ზრუნავს სასკენო რეპერტუარზე. მართალია რეპერტუარის, ამორჩევა რეჟისორის საქმეა, მაგრამ რა ქნას რეჟისორმა თუ თეატრის სათავეში მდმომი კომისია მას ხელს არ უწყობს. რეჟისორმა ამორჩია პიესა, მაგრამ მთარგმნელი, კი ვერ ნახა. კომისიამ მთარგმნელის მონახვა ზედმეტათ სცნო, და გადაჭრით უთხრა რეჟისორს: გინდა თუ არა შენ თვით გადათარგმნე პიესა და შენ თვით დადგო. და კიდევ ერთხელ ეკვცეება რეჟისორის ოცნებას ფრთები. მას დრო სჭირდება პიესის მოწყობისათვის, და ეს დრო მას თითქმის სულ პიესის თარგმნაში მიუღის. კიდევ კარგი, თუ დასში არის მსახიობი რომელიც შესძლებს პიესის გადათარგმნას. მაგრამ ჩვენ კარგათ ვართ დარწმუნებული ამ გვარ თარგმნის სიკეთეში. პიესა კარგათ რომ მოეწყოს - მსმენელს შთაბეჭდილებას აკარგვინებს ტლანქი და მოუხეშავი ენა მთარგმნელისა.

აქაც რეჟისორის ვნება.

რეკვიზიტზე და გარდერობზე ხომ სულ აღარ ღირს ლაპარაკი.

ისტორიული ტანთსაცმელნი დაძველებული, არა საყადი, ულამაზო შეკერილი, ხშირად მსახიობს პრინციის როლში, უბრალო მწყემსად მიიღებ, დედოჯალს მსახურად, მეფეს თუ მეეტლეთ არა, უკეთეს შემთხვევაში სოფლის დიაკვნათ ასეთივე შთაბეჭდილებას ახდენს სხვა ჟანრის ტანისამოსიც, გამონაკლისს არ შეადგენს არც ევროპიელი ტანისამოსი. აქ შეიძლება რომ თქვან ევროპიული ტანისამოსი მსახიობის საქმეა, მან უნდა შეიკეროსო, მაგრამ ეს ბავშური თავის მართლება იქნებოდა, მსახიობთათვის სრულიათ არა სავალდებულო.

აღამიანი მაშინ შიძენს რამეს, როდესაც შეძენის შეძლება აქვს. ჩვენი მსახიობი ტანთსაცმელზე ვერ იზრუნებს როდესაც ყოველ დღე ყოფნა არ ყოფნაზეა ჩაფიქრებული.

აი ყველა ეს და მრავალი კიდევ სხვა, რომელთა ჩამოთვლა ახლა ზედმეტია, ხელებს უბორკავს რეჟისორს, ანაწილებს მის შემოქმედებითი აზროვნებას.

ჩვენ უკვე აღვნიშნეთ, რომ მეტი დანაშაული ამ გვართ ჩვენი თეატრის დაქვეითებაში თეატრალურ კომისიების წევრებს მიუძღვისთ. ამ ბრალდებას ჩვენ გამოვარკვევთ შემდეგ წერილში, რომელშიდაც შევეხებით ჩვენი თეატრის მატერიალურად უზრუნველყოფას...

„ოქროს ვერძი“-ს ქრონიკა.

— **ახალი მადონა.** ჰეტერბურგში აქიმ ზოგორელსკის სურათების კოლექციაში აღმოაჩინეს ახალი მადონა რაფაელისა. სელაფების შეკვლევისათვის აიღოთ თანა ამ აღმოჩენამ. ფაქობენ რომ ახალი მადონა დირსკულად დაიჭერს დაკარგულ ჯიოკონდას ადგილსო.

ბალმანტმა მეტად გრძნობიერი საღამო უძღვნა „ზეჯარდმო ნიჭით ცხებულ რუსთაველის სამშობლოს“, გრძელ დასამიძეს განრსახვა აქვს მიმართოს ნიჭიერ პოეტს თხოვნით, რომ მან სთარგმნოს გეფსგას ტვალსანი.

— მასში 15 წელი შესრულდა მას შემდეგ, რაც ცნობილა რუსი მწერალი **ლ. ანდრეევი** სამწერლო ასპარეზზე გამოვიდა.

— **ბორატუბა და ხელაფნება.** ამას წინათ აფრიაში სავსატრადოთ იფევენ მოწყვეული ტენარების შეფე კარუხო და გამოჩენილი ბანი ადამ დადურა. ერთ შტატთან კასტროლიორების მატარებელი განჩერა უჩალები ბრბომ. ბრბომ შეთაურმა ბძანება გასცა უკვლას ხელემა ზევით აქაბა. დაწეეს ცარცვა. როდესაც შეთაური მიუახლოვდა მომდერალთ, მან ზრდალობაანთ მისცა მათ საღამო და მიმართა კარუხოს:

— უკარცვად შეწუხებისათვის — თქვა მან — მაქვს ზატავი ტენარების შეფესთან გენრის კარუხოსთან საუბარის?

— თქვენ არ სცდებით — მიუგო კარუხომ.

— მაშინ შე თქვენ ძლიერ გთხოვთ მიმდეროთ არაა „ზაიაცებიდან“. შე ამას წინათ ვიკავი ნაუ-იორკში და ვერ მოვახერხე ბაღეთის შოვნა, რომ მომძმინეთ თქვენ ზაიაცებში.

— შე შევასრულე თქვენს თხოვნას — თქვა კარუხომ — მხოლოდ ერთ შემთხვევაში.

— შე ყველაფერზე თანხმა ვარ.

— გაუშვით მატარებელი და ნუ ახლებთ ნურავის ხელს.

— შესის.

როდესაც კარუსომ გაათავა არია „იციანე ზაიცი“ იგი მიუბრუნდა ბრბოს შეთაურს და გაიხილა ადამ დიდურ როგორც მშვენიერი ბანი. შეთაურმა სთხოვა დითურთს კმდერა შეფასტაფელას არია... როდესაც თხოვნა შესრულდებულ იქნა, გრძობა გადავიტოვე შეთაური შეგობრულად გამოეთხოვა მომდერად, და დასტოვა მატარებელი. რას არ მოამკობს მოინადირებს...

— დღეს, თბილისში ახალი კლუბის ბაღში მოხდა სეირნობა ქართველთა შორის წ. გ. გამაგანკლებელ საზოგადოების სასწრაფოდ. სეირნობის პროგრამა სანტერესოდ არის შედგენილი.

— თბილისში არსდება ახალი „თბილისის ქართველთა მუსიკალური საზოგადოება“. საზოგადოების მიზანია შეისწავლოს როგორც ქართული აგრეთვე სიერთა მუსიკაც, წესდება წარდგენილია დასამტკიცებლად.

— დღეს, თბილისში, ძმთა. ზუბალაშვილებს სახალხო სახლში „წარველ ქართველ მუსიკის მომდერად მგალობელთა გუნდი“ მიხედავს განსამის დობრობით მართავს სახალხო კონცერტს. კონცერტის დაწყებამდე მიხედავს კავსაც წაიკითხავს თავის მოხსენიანს „ქართული მუსიკა და მისი განვითარება“.

— ქუთაისის დასის ახალგაზდა მსახიობნი შურსიძე, სარული, გუგუშვილი და ჯაყელი, ზაფხულის სეზონის სსხან დაბა ღანჩუთში.

— 23 მაისს ზაქარია ფალაშვილი ქართულ კონცერტს მართავს თბილისის ქართულ თეატრში. სხვათა შორის შესრულდებულ იქნება ზარველი სურათა და მუსიკა მოქმედება, ზ. ფალაშვილის ახალი ოპერადან „ბესალამ და ეთერა“. „ბესალამის“ რაღას შესრულებს ი. სარაჯიშვილი.

— დღეს დ. სამტრედიასში, კლუბის დარბაზში საღამო იმართება საღატორატორა განყოფილებით, რომელშიაც სხვათა შორის მონაწილეობას მიიღებს ქართული სტენის მსახიობი ვ. ბალანჩავაძე და ახალგაზდა პოეტი გ. ტაბიძე.

— შბათს, ამ ნომრის გამოსვლის საღამოს, ქუთაისის თეატრში გაიმართება გედეჯანიშვილის „გამცემის“ უმთავრესი გმირის შაქროს განმართლება. თ. გვდამარეთ იქნება დავ. კლდიაშვილი ბრალმდებლათ ად. ჯახელიძე, დამცველად გრ. გიორგაძე.

რეცენზიები.

ჭიათურადან ა - ვა გვწერს:

ამას წინათ დ. ჭიათურაში ლექცია წაიკითხა ახალგაზდა ლექტორმა მიხეილ წულუკიძემ საქართველოს მე XIX საუკუნის ლიტერატურაზე. თუმცა თემა ლექციისა ეხლა ყოველ მკოდნე ქართველისთვის დაძველებულია, მაგრამ ჭიათურაში, სადაც მრავალი მუშა ხალხია, წულუკიძის ლექცია სასურველი გამოდგა.

შინაარსიანი ლექცია, ლექტორმა მეტის აღწევებით წაიკითხა. თითქმის სავესე დარბაზში ლექტორი ტაშის კვრით დააჯილდოვა.

ზესტაფანისადან გ - დე აღნიშნავს რა მდიდარ შინაარსს მ. წულუკიძის ლექციისას, შენიშნავს ლექტორს, ლაბარაკის დროს გულციობას. ამას რეცენზენტი საზოგადოების ნაკლებათ დასწრებით სხნის. მიზეზი კი ამ უკანასკნელისა ის ყოფილა, რომ უმეტესობა დ. ზესტაფანის ინტელიგენციისა ახლოდელ სოფელში ყოფილა მიწვეული დროს სატარებლათ.

ბროლის ღიმილი. ი. გრიშაშვილი.

თბილისი. ფასი 10 კ.

ჩვენს ახალგაზდა მგონებში, ი. გრიშაშვილს საუკეთესო ადგილი უჭირავს. მისი ლექსები ყოველთვის საუცხოვო ფორმაში ჩამოყალიბებული, ახალის და ლამაზის რიფმებით შემკული, ხშირათ გაუგებარი, მაგრამ ყოველთვის სასიამოვნო საკითხავი, დღითი დღე ამკვიდრებენ ახალგაზდა მგონის სახელს ჩვენს ლიტერატურაში. იმის დიდ პოეტურ ნიჭზე ორი აზრი არ არსებობს. ყველა ულოცავს მას კეთილ მოშავალს. დრო გამოშვებით ახალგაზდა პოეტი სწერს პატარა მინიატიურებს, ურითმო ლექსებს, როგორც თვით ავტორი უწოდებს მათ.

ამ ურითმო ლექსებში, ი. გრიშაშვილის შემოქმედებითი ნიჭი, გაცილებით ნაკლებათ მოსჩანს, ვიდრე მის ლირიკულ პიესებში. იმ შვიდ მინიატიურში, რომელიც ავტორს პატარა წიგნაკ „ბროლის ღიმილში“ მოუთავსებია, ჩვენ ვერც ერთს ვერ ამოვარჩევთ იმ გვარს, რომ გრიშაშვილის ლექსების შთაბეჭდილება მოახდინოს. მხოლოდ ზოგიერთ ადგილებში თუ გავგიტაცებს მინიატიურების ავტორი, მხოლოდ სტრიქონებს შუა თუ დავგანახებს თავის სიხლეს და მიზიდველობას. რა მშვენიერია. მაგალითად ეს ადგილი:

— გფიცავ ოდესღაც ჩემსა განთქმულ ლექს წყობის ღმერთებს, მე მზეს არცკი ვაპატივებ, რომ შენს წაბლის ფერ თმებში პირსა ჰბანს თავის სხივებს.

ან ეს;

— მე დღეს, შესაძლებელია, ორასი ადამიანი ვნახო, შეიძლება გული გაუხსნა კიდევ წუთის გავლენის ქვეშ... და მაინც... მარტო ვარ. - მარტო. მაგრამ რამდენიც უნდა ამოწეროთ კარგი ადგილები, შთაბეჭდილება ძველი რჩება. ვინც ადევნებს თვალ ყურს ამ მგონის ნიჭის განვითარებას, მას „ბროლის ღიმილი“ ვერ დააკმაყოფილებს. გრიშაშვილიდან ჩვენ ყოველთვის მეტს მოველით.

რედაქტორ-გამომცემელი ბ. ჯაიანი.

„ოქროს ვერძი“

მისამართი:

Кутаисъ, Казаковскій пер.
„ОКРОСЪ ВЕРДЗИ.“ ჟურნალის დასაკვეთი ფასი უნდა გამოიგზავნოს კანტორის სახელზე. ტელეგრაფებისათვის: Кутаисъ „ВЕРДЗИ.“

ყოველკვირეული ჟურნალი „ოქროს ვერძი“ გამოდის 19 მაისიდან

ჟურნალი ემსახურება ლიტერატურას, ხელოვნებას და კრიტიკას. თანამშრომლებათ მოწვეულნი არიან ყველა ჩვენი გამოჩენილი თანამედროვე მწერლები.

წლიურ ხელის მომწერლებს დაურიგდებათ **დამატებათ** კრებულები ჩვენი ახალგაზდა მგოსნების და ბელეტრისტების ნაწერებიდან შედგენილი.

მიიღება ხელის მოწერა.	1 წ.	6 თ.	3 თ.	1 თ.	საზღვარ გარეთ ერთი-ორათ.
	5 მ.	2 მ. 50 კ.	1 მ. 50 კ.	40 კ.	

განცხადებები შერიგებით. ცალკე № ყველგან 10 კ.

რედაქტორ-გამომცემელი ბ. ჯაიანი.

თ 873/2
1913

მიიღება ხელის მოწერა 1913 წლისთვის ყოველდღიურ გაზეთზე
წელიწადი მეორე

1913

იმერეთი

გაზეთის ფასი:

ერთი წლით	7	მანეთი,
ნახევარი წლით	4	მანეთი,
ერთი თვით	4	აბაზი.
და ცალკე ნომერის	1	შაური,

სამგლოვიანო განცხადების თითო დაბეჭდვა—სამ მანეთად.

განცხადების ფასი: პირველ გვერდზე პეტიტის ანგარიშით აწკარი ღირს 3 შაურათ მეოთხეზე—ორ შაურათ, შიგნით გვერდზე შორიგობით. შრომის მაძებართა განცხადება—ნახევარ ფასათ.

გაზეთის დასკვეთი ფასი და აგრეთვე სხვა ანგარიშებიც უსათუოდ ამ მისამართით უნდა გამოიგზავნოს: **Кутань. редакция газеты**

И М Е Р Е Т И“ **Василию М. Чепидзе.**

სხვანაირათ გამოგზავნილ ფულს რედაქცია ვერ მიიღებს.

გამართული ხელისმოწერა 1913 წლის ყოველდღიურ საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთ **„საბუნდო გავითზე“** წელიწადი მეოთხე.

1913 წელს გაზეთი გამოვა იმავე პროგრამით, როგორც აქამდის გამოდიოდა. გაზეთს 1913 წელსაც ექნება **სურათებიანი დამატება.**

(**კ ვ ი რ ა ო ზ ი თ**)

პრეზიუმით

წლიური ხელის მოწერა 1913 წელს განხილვაში

მიიღება

მ რ შ ი ბ ნ ს :

1) უცხოეთის მწერლები.

ზომით არა ნაკლები 400 გვ. დაუროგდება იანვრის დასასრულს.

2) ქართველი მწერლები.

ზომით არა ნაკლებ 500 გვ. დაუროგდება ექვლისთვეში.

გაზეთის ფასი: როგორც თფილისში ისე, მის გარეთ ღირს წელიწადში ისევ 8 მანეთი და 10 შ. ერთა თვით 15 შაურათ.

გაზეთის ფასი თფილისში და მის გარეთ წლ. 8 შ. 10 შ. 11 თ. 8 მან., 10 თ. 7 შ., 10 შ. 9 თ. 6 მან. 5 შ., 8 თ. 6 მან., 7 თ. 5 შ., 5 თ. 3 შ. 5 შ., 4 თ. 3 შ. 3 თ. 2 შ. 5 შ., 2 თ. 1 შ. 10 შ. 1 თ. 15 შ. საზღვარგარეთ: წლ. 11 შ. 10 შ.; 11 თ. 10 შ. 15 შ., 10 თ. 10 შ., 9 თ. 8 შ., 8 თ. 8 შ., 7 შ., 6 თ. 6 შ., 5 თ. 5 შ., 4 თ. 4 შ., 3 თ. 3 შ., 2 თ. 2 შ., 1 თ. 1 შ., ცალკე ნომერი ყველგან შაურათ, დამატებითი ნომერი შეიღი კაპ. ადრესის გამოხატული ფასი ქალაქიდან ქალაქ გარეთ, ან ქალაქ გარეთისა ისევე ქალაქ გარეთისაზე 2 კაპ. დანართი შემოსტევაში ადრესის გამოხატული უფასოა.

გაზეთის გამოწერა შეიძლება მიიღოს 1 რბსვიდან. მხოლოდ სრული თვეებით.

ხელისმოწერა გამართულია: 1) „საბუნდო გაზეთი“-ს კანტორაში (სასაბუნდოს ქუჩა, საოჯიშვილის სახლი, წესწავლი ქვიდან), რომელიც ღირს, ღირს 9 ს. სად. 8 ს-დი უქმეებში დღის 11 ს-დან 3 ს. 2) ქ. შოთის წერა კითხვა-გადავრცელ. საზოგ. მთავარ გამგეობის წიგნის მაღაზიაში; სასაბუნდოს ქ. თავად-აშენებელთა ქარვასლ. ფოსტით: **Тифлисъ, Груз. газ. „Сахалхо“ газети**